გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

04 ივლისი 2024

N 2-611

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

მოქალაქე არტურ მირზახანიანზე „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვის გაცემის შესახებ

2024 წლის 01 ივლისს სამინისტროს მომართა შპს „REFCO“-მ და არტურ მირზახანიანმა და ითხოვეს შპს „REFCO“-ზე „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვით გაცემული 1,1,1,2 ტეტრაფთორეთანი (HFC-134a) 1 360 კგ-ის ოდენობით იმპორტის ნებართვის არტურ მირზახანიანზე გადაცემა.

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის, შპს „REFCO“-სა და არტურ მირზახანიანის 2024 წლის 01 ივლისის N18688 ერთობლივი განცხადების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს მოქალაქე არტურ მირზახანიანზე (პირადი ნომერი: 01020003944) „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის და ტრანზიტის ნებართვა (N000056) შემდეგი ნივთიერების იმპორტისათვის შესაბამისი ოდენობით:

- 1,1,1,2 ტეტრაფთორეთანი (HFC-134a) – 1 360 კგ;

2. ნებართვა ძალაშია მისი გამოცემიდან 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათლით;

3. არტურ მირზახანიანმა უზრუნველყოს საქართველოს მთავრობის 2023 წლის 3 აგვისტოს №286 დადგენილებით დამტკიცებული „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის და ტრანზიტის ნებართვის გაცემის, წლიური საიმპორტო კვოტის განაწილების წესისა და სანებართვო მოწმობის ფორმის დამტკიცების თაობაზე ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული სანებართვო პირობების შესრულება;

4. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს არტურ მირზახანიანს“;

5. ბრძანება ძალაში შევიდეს არტურ მირზახანიანის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თენგიზ ნასარიძე

მინისტრის პირველი მოადგილე - მ.შ.